ქართული ანიმაციური ფილმები

მოსწავლეების მიერ შეთავაზებული ფილმების განხილვა

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ქართული ანიმაციის მათთვის ცნობილი ის ნიმუშები, რომელთა ნახვასაც ურჩევდნენ თანაკლასელებს. შესაძლებელია, ეს კენჭისყრით მოხდეს გაკვეთილზე ან შემდეგი გაკვეთილისთვის მოამზადონ ჩამონათვალი. მათ მიერ ჩამოთვლილი ანიმაციებიდან შეირჩევა ყველაზე პოპულარული ფილმების ხუთეული/ათეული[1], რომელიც მათ მომდევნო 1 თვის განმავლობაში უნდა ნახონ. ადგენენ სანახავი ფილმების სიას. ნახვასთან ერთად, მოსწავლეები ეცნობიან ფილმის შესახებ ინფორმაციას.

მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, გეგმავს და მონიშნავს იმ გაკვეთილების განრიგს (1 ან მეტი), რომლის დროსაც განიხილავენ ანიმაციურ ფილმებს. შერჩეული მოსწავლეები, სურვილის მიხედვით, უზრუნველყოფენ ამ ფილმების ჩვენებას, რათა განხილვის დროს, საჭიროებისდა მიხედვით, შესაძლებელი იყოს რომელიმე ფრაგმენტის ნახვა.

აქვე განსაზღვრავენ საკითხების წრეს, რომელთა მიხედვითაც მოხდება განხილვა:

- ანიმაციის ჟანრი
- შინაარსი, იდეა
- მხატვარი
- კომპოზიტორი
- ანიმატორი
- მსახიობები.

განხილვების შემდეგ მოსწავლეებს ევალებათ, ნანახი ფილმების თემაზე შექმნან ესკიზები, დიორამები და მოემზადონ გამოფენისთვის.

დავალებად ეძლევათ, მოიფიქრონ, როგორ გააფორმებდნენ ღონისძიებას.

---

[1] რაოდენობას მასწავლებელი განსაზღვრავს კლასის მონაცემებიდან გამომდინარე. ასევე ეხმარება მათ ანიმაციური ფილმების საბოლოო სიის ჩამოყალიბებაში, მათი ხარისხისა და შინაარსის მიხედვით. მასწავლებელი აწესებს მათი ნახვის პერიოდსაც.